თამარ დემეტრაშვილი

ჭილაძეთა სათავადოს ირანული „ინსიგნიები“ ტყვირის მე-17 საუკუნის ჭედური ხატების მიხედვით

რეზიუმე

მე-16 საუკუნის 60-იანი წლებში დასავლეთ საქართველოში ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ სამთავროებს შორის გაჩაღებულ ბრძოლებში ჭილაძეთა სათავადოც მონაწილეობს. სათავადოს წარმოქმნა მე-15 საუკუნიდან ივარაუდება. ისინი დადიანის ვასალები იყვნენ. სათავადოს დაწინაურება და დაკნინება სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდებოდა და გამუდმებით დადიანის, გურიელისა და იმერეთის მეფეების დავის საგანი იყო.

საკვანძო სიტყვები: *ჭილაძეები, სათავადო, ირანული გავლენები, ტყვირი, ჭედური ხატები, ქტიტორები*

კვლევაში განხილულია ტყვირის ჭედურ ხატებზე გამოსახული საერო პირები, მათი სამოსის მიხედვით გაანალიზებულია ჭილაძეთა სათავადოს პოლიტიკური ორიენტაცია და ადგილი მე-17 საუკუნის სოციალურ იერარქიაში.

მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად რღვევის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. საქართველოს ფეოდალური მონარქიის დასუსტება გამოწვეული იყო როგორც საგარეო ფაქტორებით - მე-13 საუკუნის 20-იან წლებში ჯალალ ედ-დინის შემოსევებით დაწყებული და მონღოლთა ბატონობით დამთავრებული, ასევე ქვეყნის შიგნით ბატონყმურ ძალთა მოქმედებებით, რამაც ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის მოშლისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. ცენტრალური ხელისუფლების რღვევისა და დასუსტების ხანიდან, ქვეყნის დეცენტრალიზაციის შედეგად საქართველოში იწყება დამოუკიდებელ სამთავროთა წარმოქმნა და სათავადოთა ჩამოყალიბება, უფლისწულთა გახელმწიფება და პარალელურად, ერისთავთა გამთავრება.[1] რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესი მე-15 საუკუნის ბოლოს დასრულდა, რასაც ხანგრძლივი შინაფეოდალური ომები მოჰყვა.[2]

ჩიხორის ბრძოლაში მარცხდება საქართველოს მეფე გიორგი VIII, რომლის წინააღმდეგ გაერთიანდნენ დადიან-გურიელი და სხვა ფეოდალები ლიხთ-იმერეთის ცალკე გამოყოფის მიზნით - „ხოლო ბაგრატ გამარჯუებული მოვიდა ქუთათისს, აქა მოერთნენ დადიან-გურიელ-აფხაზნი და სუანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო-ჩინებითა, მეფედ. ამისათჳს აღუსრულა მთავართა მათ აღთქმული თჳსი და განთავისუფლდენ, თჳნიერ ლაშკრობისა და ქუეგანწესებისა მეფისა, და იქმნა იმერეთი მიერით ერთ მეფედ და ოთხ სამთავროდ.“[3] „იმერეთის უფლისწულ-ერისთავის გამეფება, იმერეთის ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბება და დადიან-გურიელისა და სხვა ერისთავთა გამთავრდება, მეფის ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება, ერთსა და იმავე დროს, 1462 წელს ხდება“, ბაგრატ მეფემ (იმერეთის მეფე 1463-1466 წლებში) საგადასახადო ვალდებულებისგან გაათავისუფლა დადიან-გურიელი და სხვა

---

[1] ოლღა სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. 1 (თბილისი: მეცნიერება, 1973), 32-33; ოლღა სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. 3 (თბილისი: მეცნიერება, 1990), 9-10.

[2] ნიკოლოზ ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. 2 (თბილისი: მეცნიერება, 1965) 137.

[3] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, რედ. ს. ყაუხჩიშვილი (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 806.

ერისთავები მეფობის მოპოვებისას გაწეული სამსახურის სანაცვლოდ.[4] მე-16 საუკუნის შუა წლებიდან კი ლიხთ-იმერეთის ძლიერი ერისთავები ყველა ვალდებულებისგან თავისუფლდებიან.[5]

ჭილაძეთა სათავადო სახლი იყო ყველაზე ძველი, დიდი და წარჩინებული სათავადო ოდიშის სამთავროში. ამ გვარის წარმომადგენლები ქართულ წყაროებში მე-13 საუკუნიდან იხსენიებიან,[6] სათავადოს წარმოქმნა კი მე-15 საუკუნიდან ივარაუდება.[7] ჭილაძეთა საგვარეულოს მთელ მიწა-წყალს საჯავახო ერქვა, რომელიც ჯავახ ჭილაძის სახელთანაა დაკავშირებული. ეს დიდი ტერიტორია გურიასა და სამეგრელოს შორის მდებარეობდა: „გურიაში მათი სამფლობელო საერისთავომდის მიდიოდა, ესე იგი მათ ეჭირათ მთელი ეხლანდელი მხარე გურიისა, რომელსაც ჰქვია საჯავახო, სამეგრელოს მხრით მათი სამფლობელო, როგორც ირკვევა ეხლა, ბანძამდის მიდიოდა. ამ საზღვრებში შედიოდა, გარდა საჯავოხოისა, ორპირი, სამტრედია, ეხლანდელი საჭილაო, აბაშა და სეფიეთი.“[8]

მე-16 საუკუნის 60-იანი წლებში დასავლეთ საქართველოში შინაპოლიტიკური არეულობის დროს - ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ სამთავროებს შორის გაჩაღებულ ბრძოლებში - ჭილაძეთა სათავადოც მონაწილეობს მათი სამფლობელოს სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, რომელიც იმერეთის მეფეებისთვის იყო მოსახერხებელი ადგილი ოდიშისა და გურიის სამთავროებთან საბრძოლველად და უპირატესობის მოსაპოვებლად.

როგორც სათავადოების მკვლევარი, ო. სოსელია ასკვნის, ჭილაძეები დადიანის ვასალები იყვნენ.[9] ისინი ლევან I დადიანსა და იმერეთის მეფე გიორგი II-ს (1565-1589 წწ.) და მასთან შეკავშირებულ გიორგი გურიელს (1564-1583 წწ.) შორის გამართულ 1568 წლის იანეთის ბრძოლაში დადიანის გვერდით დგანან. დადიანი გიორგი მეფის ჩამოგდებას შეეცადა და ამ საქმეში ჭილაძეები დაიხმარა. დადიანი დამარცხდა და დახმარების სათხოვნელად ოსმალეთში გაიქცა. ოსმალეთიდან მობრუნებულ და მათი ძალებით გამაგრებულ დადიანს ვეღარ შეებრძოლა გიორგი გურიელი და მას დაუზავდა ამჯერად იმერეთის მეფის წინააღმდეგ. ამ გაერთიანების წინააღმდეგ იმერეთის მეფემ გადაწყვიტა, ბოლო მოეღო დადიანთან დაკავშირებული ჭილაძეების სათავადო სახლისთვის. სათავადოს მეთაური ჯავახ ჭილაძე მოტყუებით ნადიმზე მიიწვია, შეიპყრო, მოკლა და მის მამულს დაეუფლა. გაერთიანებულმა გურიელმა და დადიანმა დაასწრეს, არ დაუთმეს მეფეს ეს სტრატეგიული ტერიტორია, დაიპყრეს საჯავახო და ერთმანეთში გაინაწილეს.[10] საჯავახოს სამხრეთი ნაწილი გურიელმა დაიკავა, ჩრდილოეთი კი - დადიანმა. ამის შემდეგ ეს სახელი ისტორიული საჯავახოს სამხრეთ ნაწილზე ვრცელდება, ჩრდილოეთი კი - საჭილაოდ იწოდება. როგორც ო. სოსელია აღნიშნავს, „დადიანი იძულებული გახდა თავის ვასალის სამფლობელოს დიდი ნაწილი გურიელისთვის დაეთმო. შექმნილ

---

[4] სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის..., 1973, 34-35; სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის..., 1990, 11-12.

[5] ვიქტორ გუჩუა, „საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე,“ წიგნში საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, რედ. მ. დუმბაძე (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 86.

[6] ელენე მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის XI-XVII ს.ს. (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, 1962), 148.

[7] სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის..., 1973, 274.

[8] ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (ტფილისი: ს. ლოსაბერიძის სტამბა, 1914), 3; Евфимий (Еквтиме) Такайшвили, „Тквирская церковь в Мингрелии и ее древности.“ Христианский восток IV (1916), 300.

[9] სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის..., 1973, 274.

[10] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., 816; ვიქტორ გუჩუა, „საქართველო XVI საუკუნის 50-70-იან წლებში“, წიგნში საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, რედ. მ. დუმბაძე (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 124. *შდრ.* გონელი არახამია, „ჭილაძეთა ფეოდალური სენიორიის ისტორიისათვის“ წიგნში საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები (თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2009), 17-18.

ვითარებაში, როგორც ჩანს, ოდიშის მთავარს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.“[11] მე-16 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მე-17 საუკუნის 70-იან წლებამდე იმერეთის სამეფოს აღარ ჰქონდა გავლენა ჭილაძეების სამფლობელოზე.[12]

თეატინელთა ორდენის ბერი, არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1630-1649 წლებში რომის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციის დავალებით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, ოდიშის სამთავროში, თავის წიგნში არაერთხელ ახსენებს ჭილაძეების გვარს, აღნიშნავს, რომ „ჭილაძეები იყვნენ პირველი თავადები ოდიშისა.“[13] როგორც ჩანს, ჭილაძეები ტყვეთა სყიდვით იყვნენ დაკავებული: „იყო ერთი უპირველესი დიდებულთაგანი ოდიშში გვარად ჭილაძე, რომელიც შეჩვეული იყო ტყვეების გაყიდვას. და ამას ერთ წელიწადს თურქთა გემების მოსვლის დროს დასჭირდა ათი-თორმეტი ტყვე ოსმალებზე გასასყიდად, რათა სამაგიეროდ ეყიდნა მათგან სხვადასხვა საქონელი, რომელიც სახლში სჭირდებოდა. ეს შეუტყეს მისმა ყმებმა და თავს უშველეს გაქცევით, რათა ხელში არ ჩავარდნოდნენ მას და თავისუფლება არ დაჰკარგოდათ. მაგრამ ჭილაძემ ეს ხერხი იხმარა საჭირო კაცების მახეში გასამბელად. გამოაცხადა, რომ ამ და ამ დღესასწაულს დიდებული წირვა უნდა გადავიხადოო და ერთ-ერთ ჩვენი კარის ეკლესიაში უნდა მოვიდნენ მღვდლებიო, რომელთაც წირვის შესრულებისათვის უხვად დავასაჩუქრებ და მდიდრულ ნადიმს გაუმართავო. ამ ცრუ დაპირებამ შეაცდინა მღვდლები და დანიშნულ დღეს თორმეტი მღვდელი გამოცხადდა. მათ დიდებულად შეასრულეს წირვა, რომელსაც დიდის ღვთის მოსაობით დაესწრო ჭილაძე. წირვა რომ შეასრულეს და მღვდლებს იმედი ჰქონდათ, თავადი თავის დაპირებისამერ დაგვასაჩუქრებს და ნადიმს გაგვიმართავსო, - ჭილაძემ ეკლესიის კარები დააკეტინა, ჯაჭვები მოატანინა, თორმეტივე მღვდელი ჯაჭვებში ჩასვა, თმები და გრძელი წვერები მოაპარსვინა და პირდაპირ წაიყვანა თურქთა გემებზე გასასყიდად. ამ რიგად ჭილაძემ გადასცა თურქებს სამუდამო ტყვედ თორმეტი მღვდელი და ფასად აიღო ათასი სკუდის სხვა-და-სხვა საქონელი. ეს საქციელი ჭილაძისა ღირსია საუკუნო ძაგებისა, რადგან ანგარებით დაბრმავებულმა ამოდენი სისასტიკე გამოიჩინა წინააღმდეგ თავისი სამღვდელოებისა, რომელსაც პატივსა სცემენ ქვეყნიერობის ყველა ერნი, დაჰგმო ყოველივე კანონი, და მის მაგიერ, რომ აესრულებინა თავისი დაპირება და დაესაჩუქრებინა ის მღვდლები, სამუდამოდ მოუსპო მათ თავისუფლება.“[14] ჭილაძეთა გვარს ეკუთვნოდა სოფელი ტყვირი, სადაც მე-14-მე-15 საუკუნეების მიჯნაზე ააშენეს საგვარეულო ეკლესია. არქანჯელო ლამბერტის წიგნში აღწერილი ეს ამბავი, რომელიც დღემდე შემონახულია სოფელ ტყვირის მოსახლეობის ზეპირსიტყვიერ გადმოცემებში, ტყვირის ეკლესიაში მოხდა.

ეკლესიის წარწერაში აღმშენებლად გაცხადებულია ქველი ჭილაძე ძმებთან ერთად.[15] ჭილაძეების ფეოდალურ გვარს ეკუთვნოდა ქორეისუბნის ღვთისმშობლის ეკლესიაც. ორივე ეკლესია „თავისუფალი ჯვრის“ ტიპს განეკუთვნება და ამ ძეგლების ამავე ტიპის ადრინდელ ნიმუშებთან შედარებით სამშენებლო ხელოვნების დაქვეითებადაა შეფასებული.[16]

ტყვირის ეკლესიის კედლები ძველად მოხატული ყოფილა, ექვთიმე თაყაიშვილის დროს უკვე შელესილი და შეთეთრებული იყო.[17] არაა შემორჩენილი კედლის მხატვრობა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია ტყვირის ჭედურმა ხატებმა, რომლებზეც ამ გვარის წარჩინებული თავადები არიან გამოსახულნი.

---

[11] სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის..., 1973, 278-279.

[12] თამაზ ბერაძე და გიორგი ცქიტიშვილი, „იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები“. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული 4 (1971): 44.

[13] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. გადათარგმნილია ალექსანდრე ჭყონიას მიერ (თბილისი: ფედერაციის გამომცემლობა და სტამბა, 1938), 16.

[14] ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა..., 161.

[15] თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 3.

[16] ვახტანგ ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია. ტ. 1, რედ. დ. თუმანიშვილი (თბილისი: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, 2014), 460-461.

[17] თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 2.

საერო პირთა გამოსახვის ტრადიცია ხელოვნების ნიმუშებზე საქართველოში ძველი დროიდან არსებობს - მე-11 საუკუნემდე ფასადური ქანდაკების სახით, მრავალი ნიმუშია წარმოდგენილი მონუმენტურ მხატვრობაში, ჭედურ ხატებზე კი ქტიტორების გამოსახვა განვითარების ადრეულ ხანაში იშვიათი შემთხვევაა. გვიანფეოდალური ეპოქის ჭედურ ხატებზე კი საერო პირები ისევე აქტიურად გამოისახებიან, როგორც ეკლესიის კედლებზე. მაგალითად, ლევან II დადიანის გამოსახულებით 6 ჭედური ხატია ჩვენამდე მოღწეული.[18]

მე-16 საუკუნიდან ქტიტორთა ასეთი მომრავლება ქართული ხელოვნების ნიმუშებზე ეპოქის ისტორიულმა და სოციალურმა ვითარებამ განაპირობა. სამეფო-სამთავროებში უფრო წვრილი სათავადოები აღმოცენდა, რომლებიც ყმა-მამულთან ერთად ფლობდნენ ციხე-სიმაგრეებს და ეკლესია-მონასტრებს, რაც ფეოდალური საგვარეულოს მთავარი ატრიბუტი იყო.[19] დაყოფა-დაშლის შედეგად ზოგ მათგანს ძველი საგვარეულო ეკლესიები ერგო, ზოგმა კი ახლის შენება დაიწყო. ამ დროს საქართველოში იწყება ახალი მშენებლობები - ახალი კარის ეკლესიების აშენება ან სამვალე ეგვტერების მიშენება, ძველი ტაძრების ხელახლა მოხატვა ამ ეპოქისთვისაა დამახასიათებელი - საკუთარი სუვერენულობისა და ძლიერების ხაზგასასმელად ეკლესიის კედლებს და ჭედურ ხატებს თავიანთი პორტრეტებით ამკობდნენ.[20]

ამ პერიოდის ჭედურ ხატებზე შეიცვალა საერო პირების, ქტიტორების როლი კომპოზიციურ წყობაში - თუკი მანამდე ისინი მხოლოდ რელიგიური პერსონაჟების დანამატები იყვნენ, რაც მათ დაქვემდებარებულ მდგომარეობას უჩვენებდა, ამ პერიოდის, და განსაკუთრებით „დადიანისეული ხატების“, ოსტატები თავისუფლდებიან ტრადიციული მიდგომებისგან, ტრაფარეტული სქემებისგან და უფრო მეტად ინტერესდებიან ქტიტორების თემით. საერო ელემენტის გაძლიერება - ასე კვალიფიცირდება ეს საკითხი ამ პერიოდის ჭედურ ხელოვნებაში.[21]

ჭედური ხატებისთვის დამახასიათებელია საერო პირების მუხლმოყრილი, მვედრებლის პოზით გამოსახვა, მე-17 საუკუნის ოქრომჭედელი ოსტატები ამ ფორმით ძველ ტრადიციას იმეორებენ. ხატებზე ქტირორები, მცირე გამონაკლისის გარდა, მუხლმოდრეკილნი არიან წარმოდგენილი, სრული ტანით ძირითადად სასულიერო პირებს გამოსახავდნენ.[22] ფრესკებზე კი ქტიტორების მუხლმოყრილ პოზაში გამოსახვა ძალზე იშვიათი მოვლენაა - სულ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ისინი მთელი ტანით არიან წარმოდგენილი კედლის მხატვრობაში. მთელი სხეულით ქტიტორების გამოსახვა ჭედურ ხატებზე ფრესკული გამოსახულებების გავლენად განიხილება.[23]

როგორც ხელოვნებათმცოდნეები აფასებენ, ტყვირის ჭედური ხატები მაჩვენებელია იმ საერთო დაქვეითებისა, რასაც ქართული ოქრომჭედლობა განიცდის ამ ხანებში როგორც მხატვრული თვალსაზრისით, ისე ტექნიკური შესრულების დაბალი ხარისხით. აღარ ჩანს ერთიანი კომპოზიციური წყობა ისე, როგორც ეს იყო განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში.[24]

---

[18] ლეილა ხუსკივაძე, ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო (ნარკვევი XVII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან). რედ. გ. ჩუბინაშვილი (თბილისი: მეცნიერება, 1974), 67.

[19] სათავადოებში საკუთრების ფორმების საკითხის შესახებ იხ.: ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის..., 1965, 102; დასავლეთ საქართველოს სათავადოების საკუთრების ფორმების შესახებ იხ.: სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის..., 1990.

[20] ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების..., 2014, 386; გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა: ალბომი, ისტორიული მიმოხილვა და ანოტაციები (თბილისი: სახელგამი, 1957), 14.

[21] ხუსკივაძე, ლევან დადიანის..., 72.

[22] Георгий Чубинашвили, Грузинское чеканное искусство: Исследование по истории грузинского средневекового искусства. ტ. 1 (Тбилиси: Сабчота Сакартвело, 1959), 639.

[23] ხუსკივაძე, ლევან დადიანის..., 73.

[24] Чубинашвили, Грузинское чеканное искусство..., 639; ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა..., 15.

1) ტყვირის მაცხოვრის ჭედურ ხატზე გამოსახულია დიდებულ სამოსში გამოწყობილი პეპუნა ჭილაძე მვედრებლის პოზით (სურ. 1). ასომთავრულ წარწერაში აღნიშნულია ქტიტორის ღვაწლი ხატის მოჭედვისა და დასავლეთ ეგვტერის აგების საქმეში:

„ ... ყოვლად: ძლიერო: ღ˜თო: ხატო:. ღმთებისაო:. მ(ა)ცხოვარო:. ტყვირისაო:. მე: მონა: მოსავმან: და სასოებ(ი)სა: შენდამი: მონდობილმან: ასულმან: გურიელისა: ბატონისა: ვახტანგისმა: ბატონ(ი)ს: შვილმან: ბატონმან: თამარ: მოგიჭედინეთ: ხატი: ესე: მაცხოვრისა: დ(ა) დავასვენეთ: ტაძარსა: თქვენსა: ქმრისა: ჩვენისა: კურთხეულისა: ჭილაძისა ბატონისა პეპ(უ)ნ(ი)სასა: და შევსწირეთ: ლიპარიშაი: გრიგოლიას: და მისის: ძმის: ხუცის: ბეგარა: ზროხა: ერთი: ცხვარი: პური: ღომი: ღვინო: და ყველი: მოიტანდენ: ხორციელისა: შაბათსა: და აღაპსა: უზმ(ი)დენ: აწ: რამანცა: კაცმან: ესე: ჩვენი: გაჩენილი: ტრაპეზი: და ჩევნგან: გაკეთებული: ეკდერი: მოშალოს: და ან: ჩვენისა: შვილის: და მათი: მომავლის: მეტმან: კაცმან: ამ: ეკდერში: დ(ა)საფლვება: მოინდომოს: ჩვენდა: და კურთხეულისა: პაპუნს: ნუქბათამცა: მეორედ: მოსლვასა: ის: გ(ა)იკითხვის.“[25]

როგორც წარწერიდან ჩანს, პეპუნა ჭილაძე მისმა ცოლმა, თამარ გურიელმა გარდაცვალების შემდეგ გამოასახვინა ხატზე და შესწირა ტყვირის ეკლესიას თავისი ქმრის სულის სახსენებლად. წერილობით წყაროებში პეპუნა ჭილაძის შესახებ ცნობები არ იძებნება. თამარ გურიელი, პეპუნას ცოლი, ვახტანგ I გურიელის (1583-1587) ასულია.

მე-16 საუკუნის 70-იან წლებში იმერეთის მეფესა და დადიან-გურიელს შორის დამყარებული დროებით მშვიდობა 80-იანი წლების დასაწყისში კვლავ შინაფეოდალური ბრძოლებით განახლდა. 1583 წელს მამია დადიანი (1582-1590 წწ.) გურიას შეესია და დაამარცხა გიორგი გურიელი, რომელიც დახმარების სათხოვნელად სტამბოლს გაემგზავრა. მამია დადიანმა გურიელად დასვა თავისი კაცი – გურიელთა სახლის წევრი ვახტანგი (1583-1587 წწ.), რითაც სამეგრელოსა და გურიას შორის დროებითი მშვიდობიანობა დამყარდა. 1587 წელს ვახტანგ გურიელი გარდაიცვალა. სტამბოლს გაქცეული გიორგი გურიელი ოსმალების დახმარებით ისევ დაეუფლა გურიელის ტახტს და კვლავ განახლდა შინაფეოდალური ბრძოლა დასავლეთ საქართველოში.[26]

გარდა იმისა, რომ პეპუნას და თამარს აუშენებიათ ტყვირის ეკლესიის დასავლეთი ეგვტერი და გაუხდიათ თავიანთ სამარხად, რაც თავისთავად მათ წარჩინებულ მდგომარეობას უჩვენებს, პეპუნას სამოსიც ფეოდალურ საზოგადოებაში მის სოციალურ სტატუსზე მიუთითებს.

ტყვირის მაცხოვრის ჭედურ ხატზე პეპუნა ჭილაძე გამოსახულია მთელი ტანით, ფეხზე მდგომი. მისი კაბა მე-17 საუკუნის სამამაკაცო კაბის თარგის შესაბამისად წელში გამოყვანილია. კაბის ზედა ნაწილი ტანზე მომდგარი, ქვედა კი თავისუფლად გაშვებულია. კაბა წვივამდე სიგრძისაა. ასეთი სიგრძის კაბები მე-17 საუკუნიდან შემოდის ხმარებაში.[27] დიდებულის კაბა გახსნილია მუცელთან და გულისპირი ბუზმენტებით, ყაითნებით იკვრება. კაბის წელს ზედა ნაწილში ყვავილოვანი ორნამენტები ჩანს. კაბის ზემოთ ცრუსახელოიანი და დაბალსაყელოიანი მოსასხამი აქვს მოსხმული, კაბაზე ოდნავ გრძელი. მე-17 საუკუნეში სარტყლის სიგრძე მოკლდება. სარტყლის კიდეები თეძომდე სიგრძისაა. იცვლება მისი შეკვრის წესიც.[28] სარტყლის კიდეები გვერდების ნაცვლად, სხეულის წინ, მარყუჟის აქეთ-იქით ნაწილდება. პაპუნა ჭილაძეს ნახევრად ღია, ენიან-საფერხულიანი ქოში აცვია.

---

[25] თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 10-11.

[26] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., 819-820; ვიქტორ გუჩუა, „სიმონ I-ის ბრძოლა იმერეთის შემოერთებისათვის,“ წიგნში საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, რედ. მ. დუმბაძე (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 140.

[27] ნინო დათუნაშვილი, „ქართული სამოსი და მისი სოციალური ასპექტები XV ს-დან XIX ს-ის დასაწყისამდე“ (PhD დის., საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2018), 57-58.

[28] დათუნაშვილი, ქართული სამოსი..., 67.

მის სამოსში ჩანს იმ დროის ჭილაძეთა სათავადოს პოლიტიკური ორიენტაცია, რაც გამოხატულია თავსაბურავზე დამაგრებული ჯიღით, რომელიც არის დიდებულთ თავსამკაული. უნდა აღინიშნოს, რომ ჯიღას ირანის შაჰები ჩუქნიდნენ ქართველ მეფე-მთავრებს - დაქვემდებარებული (ვასალური) ქვეყნების მმართველებს - მათი სამეფო ძალაუფლების აღიარების ნიშნად. ჯიღა, დღემდე არსებული მასალების მიხედვით, პირველად მე-17 საუკუნის 30-იან წლებში მოჩანს ლევან II დადიანის საქტიტორო კომპოზიციაზე წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში. დადიანისა და მისი მეუღლის, ნესტან-დარეჯანის გვირგვინები სამეფო ჯიღითაა გაფორმებული. ლევან დადიანი არაერთ ფრესკასა და ჭედურ ხატზეა გამოსახული, თუმცა იგი ირანიდან შემოსული ამ სიმბოლური თავსამკაულით ირანთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის შემდეგ ჩნდება (1634 წლიდან).

ხატის გაჭედვას ექვთიმე თაყაიშვილი მე-16 საუკუნის ბოლოსა და მე-17 საუკუნის დასაწყისით ვარაუდობს. თუ ჯიღის მიხედვით ვიმსჯელებთ, ხატი არ უნდა იყოს გაჭედილი მე-17 საუკუნის 30-იან წლებამდე. ჭილაძეები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადიანის ვასალები იყვნენ, ჯიღა მათ სამოსში ლევან II დადიანის გავლენით უნდა მოხვედრილიყო. ეს ნივთი კი, როგორც აღვნიშნეთ, მე-17 საუკუნის 30-იან წლებამდე დასავლეთ საქართველოში არ გვხვდება არც საქტიტორო ფრესკებზე და არც ლექსიკური ერთეულია დადასტურებული წერილობით წყაროებში.[29]

მე-17 საუკუნიდან ჭილაძეთა გვარი კვლავ წარჩინებულ მდგომარეობას აღწევს ოდიშის სამთავროებთან ნათესაური კავშირის წყალობით. განსაკუთრებით ლევან II დადიანი დროს, რომელსაც ცოლად ჰყავდა როვანოზ ჭილაძის ასული, ნესტან-დარეჯანი.

2) ტყვირის მაცხოვრის ხატის ფრთებზე გამოსახულნი არიან მუხლმოყრილი მვედრებლის პოზით ცოლ-ქმარი როვანოზ ჭილაძე და უტანდარ ჩხეტიძე (სურ. 2). ქტიტორები მუხლებში ისე არიან მოხრილნი, რომ მთელი სხეულით მოკეცილ ფეხებს ეყრდნობიან. ხატს ახლავს ნუსხური წარწერა: „უფალო იესო ქრისთე, ღმერთო, შე(ე)წიე, შეიწყალე და აცხოვნე სული როვანოზ ჭილაძე. თანა მეცხედრე მათი უტანდარ ჩხეტიძის. ქალი. ძიახარს, კაკას, ამინ...“[30] როვანოზ ჭილაძე და მისი მეუღლე უტანდარ ჩხეტიძის ქალი, როგორც აღვნიშნეთ, ნესტან-დარეჯანის მშობლები არიან. მათ კიდევ 2 შვილი ჰყავდათ. წარწერაში მოხსენიებული კაკა ჭილაძე არის ნესტან-დარეჯანის ძმა, რაც ირკვევა ტყვირის კიდევ ერთი ღვთისმშობლის ჭედური ხატის წარწერიდან, რომელიც ლევან II დადიანის ცოლის, ნესტან-დარეჯანის შეკვეთითაა დამზადებული, მისი ძმის, კაკა ჩილაძის სულის სახსენებლად: „ქ:. მოვაჭედინეთ:. ხატი:. ესე:. ყოვლად:. წმიდისა: ჩუენ: დედოფალმან: ნესტან დარიჯან: ძმისა: ჩუენისა: ჭილაძისა: კაკაისათვის: სახსრად და საოხად: სულისა: მისისათვის: დიდსა: მას დღესა: განკითხვისასა: ამინ: და კირიელეისონ:“[31] ნესტან-დარეჯანის ლევან დადიანზე გათხოვების (რის შემდეგაც იწოდება დედოფლად) და გარდაცვალების წლების მიხედვით,[32] ხატი 1622-1639 წლებს შორის უნდა იყოს შესრულებული.

იტალიელი მისიონერის, კრისტოფორო კასტელის (საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდა 1627-1654 წლებში) ნახატზე (სურ. 3) ასეთი კომენტარია: „კოლხეთის დედოფლის მამა პაპუნა ჭილაძე.“[33] უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის დედოფალში იგულისხმება ლევან დადიანის ცოლი, ნესტან-დარეჯანი ჭილაძე. მისი მამა კი, ტყვირის მაცხოვრის ხატის წარწერის მიხედვით, როვანოზ ჭილაძეა. ვფიქრობთ, კასტელის ეშლება ნესტან-დარეჯანის მამის

---

[29] „ჯიღა“ ლექსიკური ერთეულის შესახებ იხ.: თამარ დემეტრაშვილი, თამარ ლეკვეიშვილი, „მარიამ დადიანის ირანული სამოსი (ფრესკებისა და მზითვის წიგნში დაცული ლექსიკის მიხედვით)“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო XI (2018): 381-382; თამარ დემეტრაშვილი, „ჩიქვან-ლიპარტიანთა ირანული სამოსი მარტვილის მონასტრის ფრესკებზე“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო XIII (2021): 356-357.

[30] თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 9-10.

[31] თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 12.

[32] ილია ანთელავა, ლევან II დადიანი (თბილისი: მერანი, 1990), 61, 70

[33] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი: მეცნიერება, 1976), სურათი N24.

სახელი, მაგრამ, როგორც ჩანს, კასტელის დროს პაპუნა (იგივე პეპუნა) ჭილაძე, რომელიც ტყვირის მაცხოვრის ჭედურ ხატზეა გამოსახული (სურ. 1), კარგად იყო ცნობილი.

3) ტყვირის ღვთისმშობლის ხატზე გამოსახულია ვარნოზსი (ვარნოზი) ჭილაძე ვედრების ნიშნად აღმართული ხელებით და მოხსენიებულია ამავე ხატის ასომთავრულ წარწერაში თავის ძე ხოსროსთან ერთად (სურ. 4): „რომელი ეგე ჴსნისათჳს ცოდვილთაჲსა სამარადისოდ მეოხად მდგომარე ხარ წინაშე ძისა შენისა, ღმრთისა მყობელო, მცირედთა ამათგან ხრწნადთა ნივთთა მიერ სასუებითურთ შენდა მიმვედრებელსა, ვარნოზსი ჭილაძესა, ძესა ჩემსა ხოსროსი მომეც თხოვათა ჩემთა პოვნაჲ, რაჲთა მიოხო არ დასჯაჲ საუკუნოთა. მეოხი და მფარველი მექმენი მას დღესა განკითხვისასა.“[34] ხატი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარით თარიღდება.[35]

კედლის მხატვრობისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობის დეტალური დამუშავება ჭედური ხელოვნებისთვის შეზღუდულია მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. თუმცა, როგორც ამ სფეროს მკვლევრები აღნიშნავენ, მათზე მაინც ზუსტადაა ასახული ჩაცმა-დახურვის იმდროინდელი წესი, ვინაიდან ამ პერიოდის ოქრომჭედელი ოსტატები საერო პირთა გამოსახვისას დიდ ინტერესს იჩენენ სინამდვილისა და რეალური ცხოვრებისადმი.[36] ეს რეალობა კი ეპოქისთვის დამახასიათებელი ირანული მოდა იყო, რომელიც შემოიჭრა ქართულ ყოფაში.[37] თუმცა, თავად ჭედური ხელოვნების თვალსაზრისით, ოსტატების შემოქმედება თავისუფალია ირანული ხელოვნების გავლენისგან, ისინი მისდევენ ეროვნულ ტრადიციას და „აგრძელებენ ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების ხაზს.“[38]

ირანისა და ოსმალეთის გარემოცვაში მოქცევამ, განსაკუთრებით კი „ირანის კულტურულმა ექსპანსიამ“ მნიშვნელოვანი კვალი დაატყო ქართული კულტურის იმ პერიოდს, რომელიც „გვიან შუა საუკუნეებად“ (მე-14-18 საუკუნეები) იწოდება.[39] ირანის პოლიტიკურმა და კულტურულმა გავლენებმა და ქვეყნის იძულებითმა ორიენტაციამ აღმოსავლურ-ისლამური სამყაროსადმი საბოლოოდ მაღალი ფენების ყოფა-ცხოვრებაში სპარსული ჩვევების დანერგვა განაპირობა.

ირანული გავლენა გაცილებით საგრძნობი იყო საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, რაც ნათლად აისახა არქიტექტურაში. თუმცა, ყოფის ამსახველი ნიმუშები, რომლებიც მაღალი არისტოკრატიული წრეებისთვის იყო დამახასიათებელი, დასავლეთ საქართველოში იძებნება კონკრეტულად დიდებულთა სამოსის სახით. რაც, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ცალკეული სამთავროებისა და მთავრების პოლიტიკური ორიენტაციითა და კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მათი კავშირებით აიხსნება.

ჭილაძეებს, შესაძლოა, პირადი ურთიერთობებიც ჰქონდათ ირანთან. არქანჯელო ლამბერტი აღწერს ასეთ ეპიზოდს: „ჩემს დროს იქ იყო ერთი დიდებული, რომელიც ისე გამოჩენილი იყო სმაში, რომ მისი სახელი მთელს ირანშიც გავრცელდა. მისი ქება თვით ირანის ხელმწიფის, შაჰ სეფის, ყურამდიც მივიდა. ამ ხელმწიფემ კაცი გამოუგზავნა დადიანს და შემოუთვალა, რომ გავიგე შენს სამთავროში ასეთი გამოჩენილი მსმელი გყოლია და გთხოვ გამომიგზავნოო. დადიანმა დაუყონებლივ გაატანა იგი სპარსეთში შაჰის ახალგაზრდა საცოლოს, რომელიც იყო ათაბაგის სახლის შვილი და ისიც იყო მიემგზავრებოდა ირანში. ირანში რომ ჩავიდნენ ისინი, შაჰი ერთი-ორად იყო მოხარული, რადგან მიუვიდა ახალგაზდა ცოლიც და, შესანიშნავი მსმელიც. ქორწილის გამო მრავალი წვეულება იყო, სადაც მუდამ ჰპატიჟობდნენ შედან ჭილაძეს (Scedan Cilazé). ეს იყო მსმელის სახელი და გვარი. ამან იქაც ისახელა თავი და ყველას სჯობნიდა სმაში.

---

[34] თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 7-8.

[35] თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 9.

[36]თეიმურაზ საყვარელიძე და გაიანე ალიბეგაშვილი, ქართული ჭედური და ფერწერული ხატები (თბილისი: მეცნიერება, 1980) 11-12; ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა..., 14; ხუსკივაძე, ლევან დადიანის..., 68.

[37] Георгий Чубинашвили, „Иранское влияния в памятниках архитектуры Грузии“, წიგნში Вопросы истории искусства: Исследования и заметки. Т. 1 [Грузинское средневековое искусство] (Тбилиси: Хеловнеба, 1970), 310.

[38] ხუსკივაძე, ლევან დადიანის..., 69.

[39] ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების..., 2014, 377-378.

ამის გამო მუდამ ჯილდოს იღებდა: ხან ნაჭედი ოქროთი მოწყობილ უნაგირს, ხან მდიდრულ კაბას სიასამურის ტყავის სარჩულით, ხან ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკულ თოფს და ხან მრავალ სხვა საჩუქარს, რომელსაც უხვი შაჰი აძლევდა. საქმე იქამდი მივიდა, რომ თვით შაჰმა მოინდომა მასთან სმაში შებმა და იქამდი სვა, ვიდრე არ დასნეულდა და სული არ განუტევა. ჭილაძე კი საჩუქრებით გამდიდრებული, სამშობლოში დაბრუნდა."[40] არქანჯელო ლამბერტი ოდიშის სამთავროში 1649 წლამდე ცხოვრობდა. მისი მოთხრობილი ამბავი კი 1642 წელს მოხდა, როდესაც ელენე ათაბაგი ირანში გაგზავნეს შაჰ სეფის საცოლედ.[41] შაჰ სეფი (1629-1642) 31 წლის ასაკში გარდაიცვალა და გარდაცვალების მიზეზად ჭარბი ალკოჰოლის მოხმარება სახელდება.[42] შედან ჭილაძე რომ ნამდვილად ლამბერტის თანადროულია ისიც მოწმობს, რომ კრისტოფორო კასტელიმ დახატა შედან ჭილაძე და ასე იხსენიებს მას: „ჩვენი კეთილისმყოფელი შედან ჭილაძე, ყველაზე დიდი თავადი საქართველოს სამეფოში."[43] ლამბერტის აღწერილი ამბავი, ფაქტების თვალსაზრისით, სინამდვილეს შეესაბამება, თუმცა რამდენად მიიწვიეს შედან ჭილაძე ირანში და მასთან სმაში გაჯიბრება გახდა შაჰ სეფის სიკვდილის მიზეზი, არ ვიცით. ჭილაძეები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადიანების ვასალები იყვნენ და მათთან ნათესაური კავშირებიც ჰქონდათ, განსაკუთრებით ლევან II დადიანის დროს. ლევან დადიანის ირანული ორიენტაცია კი საკმარისად ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ჭილაძეებიც მათ პოლიტიკურ ორიენტაციას მისდევდნენ და, თუ ლამბერტს დავუჯერებთ, შესაძლოა, უშუალო ურთიერთობებიც ჰქონოდათ ირანთან. მართალია, ამ ეპიზოდიდან ირანთან მათი კავშირი პოლიტიკურ შინაარსს არ ატარებს, მაგრამ შაჰის ნაბოძები საჩუქრები (ნაჭედი ოქროთი მოწყობილი უნაგირი, მდიდრული კაბა სიასამურის ტყავის სარჩულით, ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკული თოფი) მათ ყოფით ცხოვრებაზე ნამდვილად ჰპოვებდა ასახვას. ამ ტენდენციას კი ზოგადად საქართველოში იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი „სპარსული ელემენტის" არსებობაც აძლიერებდა.

დამოწმებული ლიტერატურა – References:

1. ანთელავა, ილია. *ლევან II დადიანი.* თბილისი: მერანი, 1990.
2. არახამია, გონელი. „ჭილაძეთა ფეოდალური სენიორიის ისტორიისათვის" წიგნში საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები, 8-26. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2009.
3. ბერაძე, თამაზ და ცქიტიშვილი, გიორგი. „იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები". საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული 4 (1971): 41-52.
4. ბერიძე, ვახტანგ. *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია.* ტ. 1, რედაქტორი დ. თუმანიშვილი. თბილისი: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, 2014.
5. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტ. 2. თბილისი: მეცნიერება, 1965.
6. გუჩუა, ვიქტორ. „საქართველო XVI საუკუნის 50-70-იან წლებში". წიგნში საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, რედაქტორი მ. დუმბაძე, 114-126. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.
7. გუჩუა, ვიქტორ. „საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე". წიგნში საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX

[40] ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა..., 49-50.

[41] ელდარ მამისთვალიშვილი. „ელენე ათაბაგი და დონ ქრისტოფორო დე კასტელი", ქართული ემიგრაცია N1(2013): 43.

[42] Rudi Matthee, "Safavid dynasty", Encyclopædia Iranica, online edition, available online at https://iranicaonline.org/articles/safavids (accessed on 1 December 2022).

[43] კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ..., 100 (სურათი N89).

საუკუნის 30-იან წლებამდე, რედაქტორი მ. დუმბაძე, 85-94. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.
8. გუჩუა, ვიქტორ. „სიმონ I-ის ბრძოლა იმერეთის შემოერთებისათვის“. წიგნში საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, რედაქტორი მ. დუმბაძე, 140-150. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.
9. დათუნაშვილი, ნინო. „ქართული სამოსი და მისი სოციალური ასპექტები XV ს-დან XIX ს-ის დასაწყისამდე“. PhD დის., საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2018.
10. დემეტრაშვილი, თამარ და ლეკვეიშვილი, თამარ. „მარიამ დადიანის ირანული სამოსი (ფრესკებისა და მზითვის წიგნში დაცული ლექსიკის მიხედვით)“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო XI (2018): 372-391.
11. დემეტრაშვილი, თამარ. „ჩიქვან-ლიპარტიანთა ირანული სამოსი მარტვილის მონასტრის ფრესკებზე“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო XIII (2021): 351-365.
12. *დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ.* ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1976.
13. ვახუშტი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა.* ქართლის ცხოვრება. ტ. 4, რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.
14. თაყაიშვილი, ექვთიმე. *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი.* ტფილისი: ს. ლოსაბერიძის სტამბა, 1914.
15. Такайшвили, Евфимий (Еквтиме). „Тквирская церковь в Мингрелии и ее древности.“ Христианский восток IV (1916): 284-300.
16. ლამბერტი, არქანჯელო. *სამეგრელოს აღწერა.* გადათარგმნილია ალექსანდრე ჭყონიას მიერ. თბილისი, 1938.
17. მამისთვალიშვილი, ელდარ. „ელენე ათაბაგი და დონ ქრისტოფორო დე კასტელი“, ქართული ემიგრაცია N1(2013): 41-49.
18. მეტრეველი, ელენე. *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის XI-XVII ს.ს.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, 1962.
19. Matthee, Rudi. “Safavid dynasty”, Encyclopædia Iranica, online edition, available online at https://iranicaonline.org/articles/safavids (accessed on 1 December 2022).
20. საყვარელიძე, თეიმურაზ და ალიბეგაშვილი, გაიანე. *ქართული ჭედური და ფერწერული ხატები.* თბილისი: მეცნიერება, 1980.
21. სოსელია, ოლღა. *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან: (სათავადოები).* ტ. 3. თბილისი: მეცნიერება, 1990.
22. სოსელია, ოლღა. *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან: (სათავადოები).* ტ. 1. თბილისი: მეცნიერება, 1973.
23. ჩუბინაშვილი, გიორგი. *ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა: ალბომი, ისტორიული მიმოხილვა და ანოტაციები.* თბილისი: სახელგამი, 1957.
24. Чубинашвили, Георгий. *Грузинское чеканное искусство: Исследование по истории грузинского средневекового искусства.* ტ. 1. Тбилиси: Сабчота Сакартвело, 1959.
25. Чубинашвили, Георгий. „Иранское влияния в памятниках архитектуры Грузии“. წიგნში Вопросы истории искусства: Исследования и заметки, Т. 1 [Грузинское средневековое искусство], 308-320. Тбилиси: Хеловнеба, 1970.
26. ხუსკივაძე, ლეილა. *ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო (ნარკვევი XVII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან).* რედ. ჩუბინაშვილი გ. თბილისი: მეცნიერება, 1974.

სურ. 1. პეპუნა ჭილაძე (ფოტო წიგნიდან: Алибегашвили, Гаяне. Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи. Тбилиси: Мецниереба, 1979)

სურ. 2. როვანოზ ჭილაძე და უტანდარ ჩხეტიძე (ფოტო წიგნიდან: ხუსკივაძე, ლეილა. ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო (ნარკვევი XVII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან). რედ. ჩუბინაშვილი გ. თბილისი: მეცნიერება, 1974)

სურ. 3. კოლხეთის დედოფლის მამა პაპუნა ჭილაძე (ფოტო წიგნიდან: დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1976)

სურ. 4. ვარნოზსი (ვარნოზი) ჭილაძე (ფოტო წიგნიდან: ჩუბინაშვილი, გიორგი. ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა. ალბომი, ისტორიული მიმოხილვა და ანოტაციები. თბილისი სახელგამი, 1957)